

Nino Gogiasvili

ნინო გოგიაშვილი

Ilia State University

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The Main Character's Inner Emigration in Kote Jandieri's Short Story

Invitation to the Cinema

გმირის შინაგანი ემიგრაცია კოტე ჯანდიერის

მოთხრობაში „მიპატიჟება კინოში“

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10850>

In this report, I will analyze Kote Jandieri's short story *Invitation to the Cinema* in which, with **naturalistic precision** are portrayed the passions and pains of the main character – a young man gifted with the ability to write. The environment and its accompanying sense of alienation are so oppressive for the protagonist that he chooses **inner emigration, detachment, and deviance**;

A **striking literary parallel** can be observed between this short story and **Françoise Sagan's novel *Sunlight on Cold Water***.

In working on this paper, I used **hermeneutic, comparative, and analytical research methods**.

Keywords: Georgian, prose, Jandieri, emigration, love

საკვანძო სიტყვები: ქართული, პროზა, ჯანდიერი, ემიგრაცია, სიყვარული

2010 წელს, მოთხრობების კრებულისათვის „კონკიას დამე“ მწერალმა კოტე ჯანდიერმა ლიტერატურული პრემია „საბა“ მიიღო. სწორედ ამ კრებულის ერთ-ერთი გამორჩეული მოთხრობაა „მიპატიჟება კინოში“. კოტე ჯანდიერი მკითხველს ხიბლავს წერის განსაკუთრებული მანერით, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც XX-XXI საუკუნეთა მიჯნის უმეტესი მწერალი, ისიც საბჭოთა საქართველოსა და მის შემდგომ მოვლენებზე, მოჩვენებითი წესრიგის საფარქვეშ მოქცეულ დესტრუქციულ და უსაყრდენო სისტემასა და, სისტემის მსხვერპლ ადამიანებზე წერს.

კოტე ჯანდიერი ყველაზე რთულ, მარადიულ და საჭირბოროტო ეგზისტენციალურ საკითხებს განიხილავს თავის მოთხრობებში. მის ტექსტებში აღწერილ, ერთი შეხედვით, ზედაპირულ ცხოვრებისეულ პერიპეტეებში, პერსონაჟების ღრმა ტრავმები ტრანსლირდება. საბჭოთა საქართველო, სისტემური ტყუილისა და სიყალბის გაქვავებული სივრცეა, სადაც ადამიანები ინერციით არსებობენ ამ საყოველთაო სიცრუეში; უფრო მონდომებულები და სინდისზე ხელაღებულები კი სისტემის საყრდენებად ქცეულან, და უაპელაციო ძალაუფლებითა და კეთილდღეობით სარგებლობენ.

მოცემულ ნაშრომში გავაანალიზე კოტე ჯანდიერის მოთხრობას „მიპატიჟება კინოში“, რომელშიც ნატურალისტური სიზუსტითაა აღწერილი მთავარი მოქმედი პირის – წერის უნარით დაჯილდოებული ახალგაზრდის – ვნებები და ტკივილები. გარემო, და მისი მიუღებლობა, იმდენად მძიმეა მთავარი პერსონაჟისთვის, რომ იგი შინაგან ემიგრაციას, გამიჯვნას და დევანტობას ამჯობინებს; იგი მწერალია, მაგრამ არ წერს, შეყვარებულია, მაგრამ არ ამხელს, ტრავმირებულია, მაგრამ არ აპროტესტებს. მთავარი გმირი, საბჭოთა საქართველოში მცხოვრები ნიჭიერი, განსაკუთრებული ხედვის ადამიანია, რომლისთვისაც მოცემულ რეალობაში ცხოვრება დიდ სულიერ ტკივილებ-

თანაა დაკავშირებული; თუმცა, ამის აღიარებას პირდაპირი ქცევით არ მანიფესტირებს, და გარემომცველი სამყაროსადმი ირონიულ დამოკიდებულებასა და ცინიზმში გამოხატავს. ის არ „ცხოვრობს“, არ ერთვება ამქვეყნიურ ფერხულში, არამედ – „კლავს დღეებს“. ეს ერთი დღევ მოკვდა. მე ის მივახრჩე უჩუმრად, პროფესიონალი მკვლელის აულელვებლობით. ეს იყო ნამდვილად ეროვნული, ჭეშმარიტად ქართული მკვლელობა, „მაგიური თეატრებისა“ და მოცარტის გარეშე, ჰარი ჰალერის ქვეყანასთან მარტო „რადებერგერის“ ცარიელი ბოთლი მაკავშირებს, ხვალინდელ დღეს კი ჩემ მაგივრად „თბილმთავმახტმშენი“ მოუღებს ბოლოს“, – ვკითხულობთ ტექსტში (ჯანდიერი, 2009, გვ. 178). „თბილმთავმახტმშენის“ სამსახურებრივი რუტინა, როგორც კიდევ ერთი უსიცოცხლო დღის არყოფნა, მთავარი პერსონაჟის გაუგებარ და არეულ ცხოვრებასთანაა თანხვედრაში, ისევე როგორც თვით ეს სახელი – „თბილმთავმახტმშენი“. მთავარი პერსონაჟი ირონიით განიხილავს ამ საკითხს და ნარცისული სარკაზმით წარმოგვიდგენს არსებულ რეალობას. ასევე, ნარცისული, დაზარალებული პერსონალურობის მთელ სისასტიკეს, ის, სისტემის ნაცვლად, ყველაზე სუფთა, დაუცველ და კეთილ არსებაზე აფრქვევს – ეს ნინცოა, მასზე შეყვარებული ქალი.

მოთხრობის მთავარი გმირისთვის სიცოცხლე აბსურდია და ამგვარ აბსურდში ცხოვრებას ყოველგვარი საზრისი ეკარგება. იგი ყოფიერების ღრმა უფსკრულში გადავარდნილი კაცია, რომელიც არც მოკვდა და ვერც სამზეოზე ამოსვლის პერსპექტივას ხედავს. მას აღარ სურს ამ ქვეყნისთვის აღარაფრის გაღება, სიტყვის დასაწერადაც კი აღარ გაიწვალავს თავს, და ადამიანური ყოფის ეს უცილობელი ატრიბუტი – გაზიარება – მისთვის არაფრისმთქმელი ქმედებაა.

„გული შეწუხებული მაქვს ხალხისაგან, ყველა მთხოვს რაღაც სიტყვების თქმას, რაღაც გაუთავებელ განმარტებებს, შეფასებებს. ვეღარ გაიგეს, რომ აღარაფერი მაქვს სათქმელი, აბსოლუტურად არაფერი. ორი წელია, სტრიქონი აღარ დამიწერია, იმიტომ, რომ აღარაფერი მაქვს სათქმელი ამ აყროლებული ქვეყნისათვის. ჩემს კარს მინდა დავაწერო დიდი ასოებით – დამანებეთ თავი, ანდა ვიშოვო დიდი მეგაფონი და ერთხელ და სამუდამოდ ყველას გასაგონად დავიღრილო: წადით, თქვენი დედა!“ (ჯანდიერი, 2009, გვ. 126).

ახალგაზრდა მწერალს, რომელიც არ წერს, სიტყვების არსგამოცლილი უმნიშვნელობა აწუხებს, და, იქნებ, სწორედ ამის გამოც არ წერს: „*მე ერთი კითხვა მაწუხებს: რატომ ვფილოსოფოსობთ ამდენს მე და ნინცო. მეტი საქმე და სათქმელი არაფერი გვაქვს? თუკი გვაქვს, მაშინ ვინ დააწესა ეს ე.წ. „აკრძალული“ თემები ჩვენს საუბარში, ვინ გამოშიგნა სიტყვები და ვინ აქცია ერთ დროს ნამდვილ გრძნობათა გამომხატველი წინადადებები ფუჭ და უსაგნო სამკაულებად?*“ (ჯანდიერი, 2009, გვ. 157).

ის იმდენად უსიცოცხლო მდგომარეობაში იმყოფება, რომ, კინოს ნახევრად ცარიელ დარბაზში მჯდომი, წარმოიდგენს, რომ ეს დარბაზია მდინარის მეორე ნაპირი, ადამიანების ხმა კი – „აქერონის უაზო და გაუთავებელი ბუტბუტია მხოლოდ“. აქერონი ბერძნული მითოლოგიის ცნობილი მდინარეა, რომელიც ჰადესთან – სიკვდილის სამეფოსთან აკავშირებს ამქვეყნიურ ყოფას. აქერონის ინტერტექსტი, როგორც პოსტმოდერნისტული ტექსტის ნიშანი, განსაკუთრებულ მაგიურ მგრძნობელობას ანიჭებს მოთხრობას. მთავარი პერსონაჟი, თითქოს, ძილ-ღვიძილშია, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე და „დასწავლილ“, მექანიკურ ქმედებებს „სევდის მდინარის“ მომაბეზრებელ, საშიშ ბუტბუტს აყოლებს. მდგომარეობას დრამატულობას მატებს ის ფაქტი, რომ „*ხსოვნაში ცოცხლობს ის დრო, როცა სიტყვებს ჯერ კიდევ გააჩნდათ აზრი, ქარებს სურნელი, ღვინოებს გემო, ხოლო სხეულებს – მიზიდულობა: და უფრო მეტიც: მაშინ მე სავსებით შესაძლებელი მეგონა ჩვენი ერთობლივი ცხოვრება... ჩემი და ნინცოსი*“ (ჯანდიერი, 2009, გვ. 158).

ნინცო საბჭოთა ჩინოვნიკის ქალიშვილია, რომელიც მთელი არსებით გრძნობს სისტემურ მანკიერებებს, მაგრამ ის არ არის პავლიკ მოროზოვი – „საბჭოთა იდეალი“ – და მამის წინააღმდეგ ვერ იმართება. ნინცოს უიღბლო ქორწინებაც გარშემომყოფი ბიჭების ჯიბრზე ხდება, თითქოს, შურს იძიებს მათზე, რომ ვერ გამოიჩინეს ვაჟკაცობა და ვერ „შესწვდნენ“ ნინცოს, და სისტემასა და მის წარმომადგენელ მამასთან კონფლიქტს შესწირეს აბსოლუტურად მამის პროტოტიპი ქალიშვი-

ლი. მთავარი პერსონაჟი კარგად აცნობიერებს თავის სიმბდალეს, ამპარტავნებასა და ღალატს, პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ, რადგან ვერ შეძლო წინცოსთან ცხოვრების დაკავშირება, და, თავდაცვის მიზნით, უფრო ნარცისი, ცინიკური და გულგრილი ხდება; საკუთარი უსუსურობის განცდის პროექციაა ნაგავსაყრელად ქცეული კოლმეურნეობის მოედანიც, სადაც ყვავილებსაც ყიდიან, მაგრამ ის მაინც ნაგავსაყრელადაა ქცეული. მთხრობელი სუიციდის თანმდევი სურვილი-თაა შეპყრობილი, რადგან მისი შინაგანი მიგრაცია უკვე გაუსაძლისია. ის ვერ ახერხებს ცხოვრებას და სწორედ ამიტომაც თავის თავში შეკეტილი, ნიღბით აღჭურვილი, დამცინავი; პირის პარსვისას, საკუთარ ანარეკლს ქარონთან აიგივებს და იცის, რომ ამგვარი ცხოვრება ნელი თვითმკვლელობაა, გაცილებით სასტიკი, ვიდრე ამავე სამართლებლით ყელის გამოჭრა.

წინცო ნაგავსაყრელზე ამოსული ყვავილივითაა, შემთხვევითი გაელვება არსებულ მრუმე ყოფაში, სრულიად შეუსაბამო საკუთარ ოჯახთან და გარემოსთან მიმართებაში და, როგორც „ბა-ლახი – სათიბი“ – ზვარაკად შეწირული მათთვის. იგი ვერაფერს ხდება მთავარ მოქმედ პირთან, ვერ ერევა მის შინაგან მიგრაციასა და სისუსტეებს, მიუხედავად იმისა, რომ მასთან კონტაქტობს სრულიად გახსნილი, ღია, ლალი ტექსტებითა და ქმედებებით. წინცო, მთელი თავისი არსით, სიმბოლო და ნიშანია სასურველი, საოცარი, თუმცა, ოდნავ ინფანტილური ქალისა. მთელ მოთხრობაში აღწერილია, თუ როგორ ეპატიჟება წინცო კინოში მოთხრობელს, და რა სიმსუბუქითა და სინაზით ნიღბავს იმ ძალისხმევას, რაც მისი სახლიდან გასაყვანად სჭირდება. მთავარი გმირის „მიზეზი“, რათა არ წავიდეს კინოში, შარვალია. წინცო იხდის საკუთარ შარვალს და მას აძლევს, თვითონ კი მისი დის ტანსაცმელს იცვამს, რომელიც თვითონვე აჩუქა. მზის სხივივით ნათელი ქალის მცდელობა ამაოა – მთავარი გმირი ნარცისი, შეუვალი და ცინიკოსია, და წინცოს მუდმივად ამცირებს, საკუთარი ნირწამხდარობის დასაფარავად.

ავტორის სტილი, ენობრივი თვალსაზრისით, ტრადიციული ქართული ლიტერატურის ნიშნულებით ფორმირდება. კოტე ჯანდიერისეული თვითთრონია, თავისუფლების იდეის დეკლარირება და არსებულ ყოფაში ინერციული არსებობა მე-20 საუკუნის შუა წლების ევროპელი და ამერიკელი მწერლების თემატიკასა და ხელწერასაც გვაგონებს.

მკვეთრი ლიტერატურული პარალელი ფიქსირდება მოცემულ მოთხრობასა და ფრანსუაზ საგანის რომანს „მზის ნამცვრევი ცივ წყალში“ შორის: ორივე ტექსტში, შეყვარებული ქალები ხდებიან ტარიგები, და, მათი სიკვდილის შემდეგ, იწყება მთავარი გმირის განწმენდა და კათარზისი. ორივე შემთხვევაში, მთავარი პერსონაჟები ყოფიერებისადმი განხილული, სნობი და შინაგან ემიგრაციაში გადასახლებული ლაზილური ფსიქიკის გმირები არიან, რომლებიც ვერ ზიდავენ სიყვარულის ტვირთს, და მოჩვენებით უდარდებლობასა და ინდიფერენტიზმს აფარებენ თავს.

ფრანსუაზ საგანის რომანის „მზის ნამცვრევი ცივ წყალში“ მთავარი პერსონაჟი ჟილ ლანტიე დეპრესიით იტანჯება და, ქალაქიდან გაქცეული, პროვინციელი დის ოჯახს აფარებს თავს. სწორედ აქ ხვდება ჟილი ნატალი სილვენერს – ინტელექტუალ, ლალ, თავდაჯერებულ ქალს, რომელსაც ჰყავს ქმარი და შვილები, და მთელი ვნებით, რომელსაც ეს სიცოცხლით სავსე ქალი უზიარებს, გადაეშვება მასთან ურთიერთობაში. ჟილი განკურნებულია, ნატალი ოჯახს სტოვებს და მიჰყვება მას ქალაქში; თუმცა, მოულოდნელად ისმენს მამაკაცის საუბარს მეგობართან, რომელიც მას ეხება: ჟილი საკუთარ ცარიელ, სნობურ, ნარცისულ არსს უბრუნდება – განკურნებული, ნატალის ენერგიით სავსე, ოდნავ ცინიკური მის მიმართ, და საკუთარი თავით მოხიბლულს, სულ ავიწყდება, რომ ნატალის ვნება კი არა, სიყვარული ამოდრავებდა, როდესაც მან გავლენიანი ოჯახი და შვილები დატოვა და მასთან გადავიდა საცხოვრებლად. ქალისთვის ეს იმხელა ტრაგედიაა, რომ ავტოკატასტროფაში ასრულებს სიცოცხლეს და ჟილს ბარათს უტოვებს, რომ არ იდარდოს, რადგან ის ყოველთვის ზედმეტად ემოციური ქალი იყო. წინცო კი, რომელსაც კოტე ჯანდიერის მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, კინოდან გამოსვლისას, ცინიზმითა და გულგრილი დამოკიდებულებით იმდენად ამცირებს (სახლში არც ეპატიჟება, ეუბნება, რომ მან გადაარჩინა ნაბახუსევზე სიკვდილს, და შარვალს იქვე იხდის და მანქანაში უტოვებს), რომ აღელვებული მანქანით სწრაფად გარბის და ფრანსუაზ საგანის პერსონაჟივით ავტოვარიაში იღუპება. ქალების მსხვერპლშეწირვას მყისიერად მოჰყვება მთავარი პერსონაჟების კათარზისი – დანაშაულის შეგრძნება, ტრაგიკულობის განცდა, სინანული;

კოტე ჯანდიერის პერსონაჟის შემთხვევაში კი, გადარჩენის, მომავლის იმედი – რასაც ნინცოს შვილზე ზრუნვასა და მის ბედნიერებაში ხედავს.

კოტე ჯანდიერის მოთხრობაში „მიპატიჟება კინოში“ ინტერტექსტად შემოსულია „თვით-მფრინავის ბიჭების“ ამბავი, როგორც სისტემიდან გაღწევის, მიგრაციის მცდელობა და თანდართული ფიასკო. მთავარი გმირის შინაგანი ემიგრაცია „თვითმფრინავის ბიჭების“ მცდელობის ალტერნატიული მოდელია. ნინცოს სიკვდილი კი გარდამტეხი ეტაპი, ზღვარია მის ცხოვრებაში:

„მე ვეტყვი ანკას, რომ წარღვნაში დამნაშავენი ჩვენა ვართ და ეს არ არის ღვთიური სასჯელი, რადგან ღმერთი არც მილიციონერია და არც პროკურორი. ეს მღვრიე წყლები ჩვენ თვითონა ვართ, ანკას წინარე თაობები; ეს ჩვენი ცოფი და ბოდმაა, რომელიც ისე ვაგროვეთ და ვამრავლეთ, რომ ბოლოს და ბოლოს ჯებირებმა ვეღარ გაუძლეს და გასკდნენ ძველ კანალიზაციასავით“ (ჯანდიერი, 2009, გვ. 185).

როგორც მთავარი პერსონაჟის ბოლო მონოლოგიდან იკვეთება, ნინცოს სიკვდილი მისთვის სრული გაცნობიერებაა; ის მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს. ნინცოს ფუნქციონერი მამაც კი უყვარს, თავის „ურჩხულ“ თავთან შედარებით, რადგან საკუთარ უსუსურობას და ბოროტებას აღიარებს. ყველაფრის თავი კი უსიყვარულობაა, ინდიფერენტიზმი, სიმხდალის გამართლება – სნობური ინფანტილიზმი და გაქცევა.

მკვეთრი პარალელი ფიქსირდება თანამედროვე ქართველი მწერლის ირაკლი სამსონაძის რომანთან „ყურთბალიში“, სადაც ნირწამხდარი მთავარი პერსონაჟი შიშისა და უსიყვარულობის ჭაობში ჩადირულა. ორივე მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გამოსავალი არსებობს, და ის ნამდვილ სიყვარულსა და სიმამაცეშია.

ამ ყველაფრის საპირწონედ, მახსენდება ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა „მლიერნი სულნი“, სადაც მოსიყვარულე, მამაცი ზეადამიანები დაუნანებლად ტოვებენ ამქვეყნიურ სიცოცხლეს, რადგან მათთვის არსი არსებობაზე მნიშვნელოვანია.

მოთხრობის წინასიტყვაობად წამდგარებულ ტიბერიუს კეისრის ფრაზას – „ყოველდღე ვკვდები“, საკუთარ – მეთერთმეტე მცნებას უპირისპირებს ავტორი: „არ შეგეშინდეს!“ და გვარწმუნებს, რომ ღმერთი „ეჭვის ჭიაზე“ არ უნდა გავცვალოთ. შინაგანი ემიგრაციაც იქ სრულდება, სადაც ღმერთის უპირობო რწმენა და ნდობა იღვიძებს, რადგან უზენაესია შემომქმედი ირგვლივ ყოველივესი და მისი ნების გარეშე „თმის ღერიც“ არ ჩამოვარდება ადამიანს. მოთხრობაში „მიპატიჟება კინოში“, კოტე ჯანდიერი, ერთი მხრივ, საბჭოური სისტემის მანკიერებასა და ადამიანებზე მის ზეგავლენაზე გვიყვება, მეორე მხრივ კი სიყვარულის ანუ ღმერთის უპირობო მინდობაში ხედავს გამოსავალს.

მოხსენებაზე მუშაობისას, გამოვიყენე კვლევის ჰერმენევტიკული, კომპარატიული და ანალიტიკური მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა:

საგან, ფ. (2017). მზის ნამცვრევი ცივ წყალში. თბილისი: „Philos“.
ჯანდიერი, კ. (2009). კონკიას ღამე. თბილისი: „დიოგენე“.

Referencves:

Jandieri, K'. (2009). K'onk'ias Ghame. [Cinderella's Night]. Tbilisi: "Diogene".
Sagan.P. (2017). Mzis Namts'vrevi Ts'iv Ts'q'alshi. [Sunset in Cold Water]. Tbilisi: „Philos“.

Tamta Ghonghadze

თამთა ღონღაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

**The Voice of Migrants in Tamta Melashvili's Novel –
„Told and Untold Stories: Germans in Georgia“
მიგრანტების ხმა თამთა მელაშვილის რომანში –
„თქმული და უთქმელი ისტორიები: გერმანელები საქართველოში“**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10851>

Tamta Melashvili's book, "Told and Untold Stories: Germans in Georgia," published in 2017. Using the method of oral histories, the author has added a reportage novel to contemporary Georgian literature. The novel "Told and Untold Stories: Germans in Georgia" reflects the 200-year history of Georgian-German relations from the consciousness of its direct participants. In the book, people tell stories of how their German grandmothers and great-grandfathers established their communities in Bolnisi, Asureti, and Sartichala; what the coexistence of Germans and Georgians was like; How German migrants became emigrants; What remains alive today, what has been preserved in photographs and memory.

Keywords: Migrants, Germans in Georgia, Tamta Melashvili, Oral History Method, Svetlana Alexievich

საკვანძო სიტყვები: მიგრანტები, გერმანელები საქართველოში, თამთა მელაშვილი, ზეპირი ისტორიების მეთოდი, სვეტლანა ალექსიევიჩი

გერმანელების საქართველოში მიგრაცია 200 წლის წინ დაიწყო. მე-18 საუკუნიდან გერმანელების ჩრდილოეთ ამერიკასა და რუსეთში, და მე-19 საუკუნიდან უკვე სამხრეთ კავკასიაში მიგრაციის მიზეზები უშუალოდ იყო დაკავშირებული იმ პერიოდის გერმანიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და რელიგიურ ვითარებასთან; ასევე, მნიშვნელოვანი იყო რუსეთის იმპერატორების გამოცემული განკარგულებები, რითაც ისინი პრივილეგიების დაპირებით ევროპელებს თავის ვრცელ ტერიტორიაზე დასახლებლად იწვევდნენ. გადამწყვეტი მაინც ვიურტემბერგში არსებული ვითარება იყო – ომებისგან გადატაკებული მოსახლეობა, გაზრდილი გადასახადები, მოუსაველიანობა და შიმშილი. ასევე, იზრდებოდა ლუთერანული ეკლესიით უკმაყოფილოთა რიცხვის, რასაც ვიურტემბერგის ხელისუფლება განსაკუთრებით მკაცრი ზომებით პასუხობდა.

1817 წელს საქართველოში ვიურტემბერგელი შვაბების 31 ოჯახი ჩამოვიდა. ისინი სართიქალის მახლობლად დასახლდნენ. გერმანელთა შემდეგი ნაკადი, 500-მდე ოჯახი, 1818 წელს ჩამოვიდა. 1819 წლისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ექვსი გერმანული კოლონია იყო: მარიენფელდი, ნოი-ტიფლისი, ალექსადერსდორფი, კატარინენფელდი, ელიზაბეტთალი და პეტერსდორფი. გერმანელთა ჩამოსვლა გრძელდებოდა შემდეგ წლებშიც (თათარაშვილი).

ამ ისტორიულ ამბავზე არსებობს დოკუმენტური წყაროები, კვლევები, წიგნები. არსებობს ქართულ-გერმანული ელექტრონული არქივი, რომლითაც დაინტერესებული ადამიანი ბევრ ინფორმაციას მიიღებს. თუმცა, ისტორიის მიღმა რჩება ხოლმე ადამიანური გამოცდილების ემოციური ნაწილი. სწორედ ამ ნაწილზეა თამთა მელაშვილის წიგნი – „თქმული და უთქმელი ისტორი-